საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1540 2017 წლის 24 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ანაკლიის განვითარების კონსორციუმისათვის“ აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ (ს/კ: 404479097) უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ამ განკარგულების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონება საქართველოს მთავრობასა და შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ შორის 2016 წლის 3 ოქტომბერს გაფორმებული ანაკლიაში შავი ზღვის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის (BOT) შესახებ საინვესტიციო ხელშეკრულების (შემდგომში – საინვესტიციო ხელშეკრულება) მოქმედების ვადით.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების აღნაგობის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვროს პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით ამავე განკარგულების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების მხოლოდ საინვესტიციო ხელშეკრულებით დადგენილი მიზნებისათვის და აღნაგობის უფლების არსებითი შემადგენელი ნაწილების მხოლოდ შესაბამისი აღნაგობისა და საინვესტიციო ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და დანიშნულებით გამოყენება.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

დანართი

N	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი
1	ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ ანაკლიაში მდებარე 11443 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	43.30.46.801
2	ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ ანაკლიაში მდებარე 2688 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	43.30.46.537
3	ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ ანაკლიაში მდებარე 5338 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	43.30.46.658
4	ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ ანაკლიაში მდებარე 374 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	43.30.46.802
5	ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ ანაკლიაში მდებარე 5297 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: N1; N2; N3 (მ.შ. I სართული 569.47 კვ.მ.; II სართული 516.55 კვ.მ., III სართული 1181.39 კვ.მ.); N4	43.30.45.133